



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია



თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ-ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge



KA000021986294120

№ 02-134-R

28 / ივლისი / 2020 წ.

ბრძანება

საბაკალავრო პროგრამებზე შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობის შესახებ


საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 22-ე მუხლის, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების პრევენციისათვის, საქართველოს მთავრობის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2020-2021 სასწავლო წლისათვის **შიდა მობილობა** გამოცხადდეს შემდეგ საბაკალავრო პროგრამებზე: „**საშემსრულებლო ხელოვნება**“ (კლავიშოანი საკრავები, აკადემიური გუნდის დირიჟორობა, საორკესტრო ჩასაბერი საკრავები - ფლეიტა), „**ჯაზის ხელოვნება**“, „**კომპოზიცია**“ და „**მუსიკა და დღევანდელიობა**“ (მუსიკის ტექნოლოგია, მუსიკის ჟურნალისტიკა);
2. საბაკალავრო პროგრამებზე „საშემსრულებლო ხელოვნება“, „ჯაზის ხელოვნება“, „კომპოზიცია“ და „მუსიკა და დღევანდელიობა“ **შიდა მობილობის** მსურველთათვის განისაზღვროს რეგისტრაციის ვადები:
ა) დოკუმენტების გამოგზავნა ელ.ფოსტაზე study@tsc.edu.ge 2020 წლის 28, 29, 30 აგვისტოს (თბილისის დროით 19:00 საათამდე);
ბ) მითითებულ პერიოდში დარეგისტრირებულთა დოკუმენტების ხარვეზის გამოსასწორებლად დამატებითი დრო 2020 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით (თბილისის დროით 19:00 საათამდე);
3. დასარეგისტრირებლად განესაზღვროთ შემდეგი **დოკუმენტაცია**: შიდა მობილობის გასაგვლელად რეგისტრაციის შევსებული ფორმა; პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი; შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ გაცემული სასწავლო ბარათი/ ნიშნების ფურცელი (სემესტრების მიხედვით); მობილობის პროცედურის განხორციელების საფასურის (50 ლარი) გადახდის დამადასტურებელი **საბანკო ქვითრის** ასლი.
4. გამოცდების განრიგი გამოცხადდეს - 1 სექტემბერს;
5. დეკანების მიერ საგამოცდო კომისიის და კრედიტების აღიარების კომისიის შესახებ ბრძანება გამოიცეს - 1 სექტემბერს;
6. გამოცდები ჩატარდეს - 2 სექტემბერს;
7. კრედიტების აღიარება მოხდეს - 3-4 სექტემბერს;
8. სტუდენტებისთვის აღიარებული კრედიტების გაცნობა მოხდეს - 3-4 სექტემბერს;
9. ჩასარიცხ პირთა შესახებ ბრძანების გამოცემა - 4-8 სექტემბერს.
10. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს სასწავლო დეპარტამენტს, საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანს, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანს.
11. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;
12. ბრძანება გამოქვეყნდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ხელმოწერა/
შტამგდასმულია
ელემტრონულად 

ნანა შარიქაძე